ხელშეკრულება N 281/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 11 **აპრილი 2023 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს ,,რუსთაველის 16" წარმოდგენილი დირექტორის გოჩა კევლიშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის (CPV 22110000 ნაბეჭდი წიგნები) ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა. (მოთხ. #8358/10)

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

#	ავტორი	დასახელება	რაოდ	ფასი	ღირებ.
1	ბესიკ ხარანაული	უძებნი შვილი	5	14	70
2	დიმიტრი სილაქაძე	რუსეთ-საქართველოს ომი, 100 ამბავი	5	17	85
3	დავით წერედიანი	85 ამბავი	5	16	80
4	კუკური მეტრეველი	ჯავახეთი. ისტორიულ-კულტურული ნარკვევი	3	80	240
5	გოჩა საითიძე	ქაქუცა 64 ამბავი	3	16	48
6	მონტისი კოსტას	ლექსები	1	9	9
					532.00

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 532.00 ლარს. (ხუთას ოცდატორმეტი ლარი და 00 თეთრი)

2.3 ხელშკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს თსუ–ს სასტამბო და საგამომცემლო მომსახურების ინსპექტირების ჯგუფის წევრები: ბესიკ ალადაშვილი, მურმან ცარციძე და თენგიზ სირაძე.

3.2 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის ან ნაკლის არ აღმოფხვრის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.
5.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე, უფლებამოსილი პირებია: თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გ. ტალახაძე და თსუ-ს საწყობის გამგე - ელგუჯა ობოლაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელდება: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1.
6.2 მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1 წიგნები უნდა იყოს ახალი, არამეორადი. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველის მოთხოვნებს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეebს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ელექტრონულად ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2023 წლის 31 დეკემბრამდე.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივიელექტრონული ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
10.3 ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

10.4. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს **ინტერესთა კონფლიქტს.**

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.# 1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
საკუთარი შემოსავლები

საიდენტ. კოდი: 204864548

მიმწოდებელი
შპს ,,რუსთაველის 16“

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის 16
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,, თი ბი სი ბანკი“
ა/ა # GE42TB7019736080100002
ბანკის კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი: 400011134

შპს ,,რუსთაველის 16“ დირექტორი

ლაშა საღინაძე

Gocha Kevlishvili 01002020886
Digitally signed by Gocha Kevlishvili
Date: 2023.04.11 12:48:47

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უხივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.04.11 14:17:06 +04'00'